110 Th ANNIVERSARY OF THE CORRESPONDING MEMBER OF THE GEORGIAN NATIONAL ACADEMY OF SCIENCES GEORGE DZIDZARIA

აკადემიის წევრ-კორესპონდენტი გიორგი ძიძარია- 110

გამოჩენილი აფხაზი მეცნიერის, პედაგოგისა და საზოგადო მოღვაწის, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტის, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორის, პროფესორ გიორგი ძიძარიას (1914-1988) დაბადებიდან 110 წელი შესრულდა.

გიორგი ძიძარია დაიბადა 1914 წლის 23 აპრილს (6 მაისს) გუდაუთის რ-ნის სოფ. ლიხნში. სიყვარული მშობელი ხალხისა და მისი კულტურისადმი ოჯახში შეისისხლხორცა. მამით ადრე დაობლებულმა დაწყებითი განათლება გუდაუთის საბავშვო სახლ-ინტერნატში მიიღო. 1934 წელს გ. ძიძარიამ დაამთავრა ნ. ლაკობას სახელობის სოხუმის საშუალო სკოლა. იმავე წელს ჩაირიცხა მოსკოვის ისტორიის, ფილოსოფიისა და ლიტერატურის ინსტიტუტში, რომელიც წარმატებით დაამთავრა 1939 წ. სამშობლოში დაბრუნებულმა ახალგაზრდა სპეციალისტმა მუშაობა დაიწყო სოხუმის პედაგოგიურ ინსტიტუტში მასწავლებლად, ხოლო აფხაზეთის ენის, ლიტერატურისა და ისტორიის ინსტიტუტში - უმცროს მეცნიერთანამშრომლად.

1941-1945 წწ. გ. ძიძარია ეწეოდა ანტიფაშისტურ პროპაგანდას; მონაწილეობდა აფხაზეთში თავდაცვითი ნაგებობების მშენებლობაში; იყო სოხუმის გამანადგურებელი ბატალიონის მებრძოლი.

1946 წ. და 1958 წ. წარმატებით დაიცვა საკანდიდატო და საოქტორო დისერტაციები.

გ. ძიძარიას მდიდარი სამეცნიერო მემკვიდრეობა, რომელიც 400-ამდე სამეცნიერო ნაშრომს მოითვლის, საპატიო ადგილს იკავებს აფხაზმცოდნეობის განვითარებაში. ინტერესმოკლებული არაა მისი ჯერ კიდევ სტუდენტური სამეცნიერო ნაშრომის სახელწოდება - „აფხაზეთის დაპყრობა რუსეთის მიერ“. აქედანვე გამოკვეთილად ჩანდა მისი მომავალი სამეცნიერო ინტერესების სფერო. განუზომელია მისი წვლილი XIX-XX საუკუნეების აფხაზეთის ისტორიის შესწავლაში. მოგეხსენებათ თუ როგორი სიმკაცრით ეკიდებოდა საბჭოთა ცენზურა აღნიშნული პერიოდის გაშუქებას, რაც ავტორისთვის ბეწვის ხიდზე სიარულს ჰგავდა. გ. ძიძარიას სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მან ღირსეულად იარა ამ ბეწვის ხიდზე და გარდუვალი ხარკის მინიმალური დოზის გაღებით მეცნიერული კეთილსინდისირების, ობიექტურობისა და მაღალი აკადემიურობის სტანდარტით აღბეჭდილი გამოკვლევებით გაამდიდრა აფხაზური და არამარტო აფხაზური ისტორიოგრაფია. მან პირველმა გამართა XIX საუკუნის აფხაზეთის ეკონომიკური, სოციალური თუ პოლიტიკური ისტორიის ძირითადი მაგისტრალური ხაზი, ეასაც საფუძლად დაედო მისი მონოგრაფიული გამოკვლევა“ (1958) „სახალხო მეურნეობა და სოციალური ურთიერთობანი აფხაზეთში XIX საუკუნეში (1870 წლის საგლეხო რეფორმამდე)“, რომელშიც წარმოჩენილია აფხაზეთის სოფლის მეურნეობის, მრეწ-

ველობისა და ხელოსნობის მდგომარეობის სურათი. პირველად სპეციალურ ლიტერატურაში ავტორმა მოგვცა აფხაზური საზოგადოების სოციალური სტრუქტურის ყველაზე სრულყოფილი დახასიათება. გიორგი ძიძარიას აზრით, აფხაზეთში არსებულ ფეოდალურ ურთიერთობებს ბევრი საერთო ჰქონდა საქართველოს სხვა რეგიონებში არსებულ ფეოდალურ ინსტიტუტებთან.

აღსანიშნავია, პირველად მისი თაოსნობითა და თანაავტორობით შეიქმნა აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ისტორიის განზოგადებული ორტომეული - „„აფხაზეთის ასსრ ისტორიის ნარკვევები“ (სოხუმი, 1960, 1964) და „აფხაზეთის ასსრ ისტორია (1917-1937)“, (სოხუმი, 1983).

მის კალამს ეკუთვნის რევოლუციამდელი აფხაზი ინტელიგენციის ჩამოყალიბების ისტორიისადმი მიძღვნილი მონოგრაფია და მრავალი სხვა.

განსაკუთრებით აღსანიშნავია მისი კაპიტალური გამოკვლევა „მაჰაჯირობა და XIX საუკუნის აფხაზეთის ისტორიის პრობლემები“, სადაც რუსეთის იმპერიის კავკასიური პოლიტიკის ფონზე, დიდძალი საარქივო მასალის საფუძველზე რელიეფურად აჩვენა ის საშინელი ტრაგედია, რაც აფხაზ ხალხს დაატეხა თავს რუსეთის იმპერიის კოლონიურმა პოლიტიკამ, რისი შედეგი იყო თურქეთში რამდენიმე ათეული ათასი აფხაზის იძულებითი გასახლება, თანამედროვე ენით რომ ვთქვათ, ეთნიკური წმენდა, რის შედეგად აფხაზეთის ისტორიული ოლქების ნაწილი მთლიანად გაუკაცრიელდა. უფრო მეტი - ადგილზე დარჩენილი აფხაზი ხალხი გამოაცხადეს დამნაშავე მოსახლეობად, რაც ნიშნავდა იმას, რომ მათ უფლება არ ჰქონდათ ეცხოვრათ ქალაქში, შეეძინათ მიწის ნაკვეთი და ა.შ. გ. ძიძარიამ ამ ნაშრომით დოკუმენტურად დაასაბუთა, თუ რა დიდი დანაშაული მიუძღვის რუსეთის მთავრობას აფხაზი ხალხის წინაშე. იმდენად დიდი იყო ინტერესი ამ მონოგრაფიის მიმართ, რომ ის ხელმეორედ გამოიცა (პირველად 1979 წ, მეორედ 1986 წ.) ბოლო წლებში ქართულ ისტორიოგრაფიაში ბევრი ახალი ნაშრომი შეიქმნა აღნიშნული პრობლემის გარშემო, მაგრამ სპეციალისტები ერთხმად თანხმდებიან იმაში, რომ გ. ძიძარიას აღნიშნული ნაშრომის მეცნიერულ ღირებულება შეუვალი რჩება.

თავისი ფუნდამენტური გამოკვლევებით გ. ძიძარიამ ფართოდ გაითქვა სახელი როგორც აფხაზეთის ახალი ისტორიის გამოჩენილმა მკვლევარმა, რომელმაც დსაბუთებულად გადასინჯა ბევრი პრინციპულად მიუღებელი დებულება აფხაზი ხალხის ისტორიულ წარსულზე. უფრო მეტიც, მისი კვლევის შედეგებმა ხელი შეუწყვეს XIX საუკუნის საქართველოსა და კავკასიის ხალხთა ისტორიის მთელი რიგი საკითხების ახლებურად გაშუქებას. გ, ძიძარიამ საგანგებო ნაშრომი უძღვნა მეფის რუსეთის გაბატონებას აფხაზეთში (1960), რასაც მაშინ რუსეთთან შეერთება ერქვა, სადაც ავტორმა თვალნათლივ წარმოაჩინა აფხაზი ხალხის შეუპოვარი ბრძოლა აფხაზეთის მთავრების პრორუსული პოლიტიკის წინააღმდეგ. მკვლევრის ნაშრომებში გაშუქებულია 1864 წელს აფხაზეთის სამთავროს გაუქმების საკითხები. რუსეთის მთავრობის ამ აქტმა დიდი აღშფოთება გამოიწვია აფხაზეთის საზოგადოებაში, რასაც მოჰყვა მასშტაბური 1866 წ. ამ აჯანყებისადმი მიძღვნილ სპეციალური გამოკვლევაში (1955 წ.) კარგად

ჩანს, რომ აჯანყება სახალხო ომში გადაიზარდა, რომელიც მიზნად ისახავდა რუსეთის მმართველობის გაუქმებას და აფხაზეთის სამთავროს აღდგენას. ავტორმა დამაჯერებლად აჩვენა, თუ რაში გამოიხატა აჯანყებულთა სულისკვეთება, რაც ნათლად გამოვლინდა იმაში, რომ აჯანყებულებმა აფხაზეთის მთავრად აირჩიეს უკანასკნელი მთავრის მემკვიდრე გიორგი შარვაშიძე, მომავალში ცნობილი მწერალი, აფხაზი და ქართველი ხალხების ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის თვალსაჩინო მოღვაწე. ავტორმა ისიც დაგვანახა, რომ მიუხედავად აჯანყების დამარცხებისა, ათეული წლების განმავლობაში აჯანყებულთა პოლიტიკური იდეა ასაზრდოებდა ეროვნული თვითმყოფადობის შენარჩუნებისათვის აფხაზი ხალხის ბრძოლას ცარიზმის წინააღმდეგ.

გ. ძიძარია ოსტატურად უხამებდა ერთმანეთს სამეცნიერო და პედაგოგიურ მოღვაწეობას. თავისი მაღალკვალიფიციური კვლევის შედეგებს უშურველად უზიარებდა სტუდენტურ აუდიტორიებს სოხუმსა თუ თბილისში. ის სოხუმის პედაგოგიურ ინსტიტუტსა და შემდეგ უნივერსიტეტში წლების მანძილზე კითხულობდა სალექციო კურსებს აფხაზეთის ისტორიაში; მისი უშუალო ხელმძღვანელობით არაერთმა ახალგაზრდა სპეციალისტმა გაიკვალა გზა ისტორიულ მეცნიერებაში; მისი მოწაფეები დღესაც წარმატებით მოღვაწეობენ სამეცნიერო და პედაგოგიურ ასპარეზზე სოხუმსა და თბილისში; ის მჭიდროდ თანამშრომლობდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტთან, სადაც უძღვებოდა ლექციებს XIX საუკუნის აფხაზეთის ისტორიაში. ის ყოველმხრივ ხელს უწყობდა სოხუმისა და თბილისის უმაღლესი საგანმანათლებლო და აკადემიური კვლევითი დაწესებულებების მჭიდრო თანამშრომლობას და მისი ეს ძალისხმევა იმდენად მნიშვნელოვანი და ნაყოფიერი იყო, რომ ის ორჯერ (1971 და 1982) დაჯილდოვდა ივანე ჯავახიშვილის მედლით.

გ. ძიძარიას სახელი მჭიდროდაა დაკავშირებული აფხაზეთის სახალხო განათლებისა და უმაღლესი სკოლის ისტორიასთან. იგი აღიარებულია უმაღლესი სკოლის გამოჩენილ პედაგოგად და ხელმძღვანელად. დიდია პროფ. გ. ძიძარიას პირადი წვლილი მეცნიერ-მკვლევართა კვალიფიციური კადრების აღზრდის საქმეში. აფხაზეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის გახსნის დღიდან პროფ. გიორგი ძიძარია მჭიდროდ თანამშრომლობდა სასწავლებელთან, სადაც კითხულობდა აფხაზეთის ახალი ისტორიის კურსს, იყო უნივერსიტეტის სამეცნიერო საბჭოს წევრი.

გ. ძიძარია დიდ დროს უთმობდა აფხაზური სკოლის პრობლემებს. მან პირველკლასელებისათვის შეადგინა აფხაზური დედაენის სახელმძღვანელო, რომელმაც დიდი როლი შეასრულა აფხაზი ბავშვების აღზრდის საქმეში. მან შ. ინალიფასთან ერთად შეადგინა აფხაზური ლიტერატურის ქრესტომათია მე-7 კლასელთათვის, მასთან ერთად თარგმნა ს. შესტაკოვის მე-4 კლასის სახელმძღვანელო „სსრკ-ის მოკლე ისტორია“.

გიორგი ძიძარია იყო არაერთი საერთაშორისო, საკავშირო, რეგიონალური თუ რესპუბლიკური სამეცნიერო კონფერენციების ორგანიზატორი და აქტიური მონაწილე.

აღსანიშნავია გ. ძიძარიას ნაყოფიერი თანამშრომლობა ქართული ენციკლოპედიის რედაქციასთან, მრავალი სტატია, რომლებიც აფხაზეთის ისტორიასა და კულტურას შეეხება, ამ გამოცემაში სწორედ მისი ავტორობითაა გამოქვეყნებული.

ის ორი ათეული წელი წარმატებით უძღვებოდა საქართველოს საისტორიო საზოგადოების აფხაზეთის განყოფილებას.

გ. ძიძარია დაჯილდოებული იყო მეცნიერების ორგანიზატორის გამორჩეული უნარით. ის თითქმის ათი წლის განმავლობაში (1957-1966 წწ.) მოღვაწეობდა სოხუმის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის რექტორად და მისი ხელმძღვანელობით ახალი ძალით წარმოჩნდა ინსტიტუტის სასწავლო-სამეცნიერო პოტენციალი, გაფართოვდა მატერიალურ-ტექნიკური ბაზა. მისი დირექტორობის პერიოდში (1966-1988) საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აფხაზეთის დ. ი. გულიას სახელობის ენის, ლიტერატურისა და ისტორიის ინსტიტუტი აფხაზმცოდნეობის საყოველთაოდ აღიარებული აკადემიური ცენტრი გახდა.

გ. ძიძარია, ზურაბ ანჩაბაძესთან, ხუხუტი ბღაჟბასთან, შალვა ინალიფასთან და სხვებთან ერთად, აფხაზური მეცნიერული ისტორიოგრაფიის ერთ-ერთი ფუძემდებელია, მის ნააზრევს გამოარჩევს ობიექტურობა და პასუხისმგებლობა მშობლიური აფხაზი ხალხის წინაშე, რომლის ისტორიული წარსულის ძიებას შესწირა მთელი შეგნებული ცხოვრება.

გ. ძიძარია მეცნიერული სიტყვითა და საქმით განასახიერებდა ხანგრძლივი ტრადიციით ჩამოყალიბებული და განმტკიცებული აფხაზურ-ქართული ურთიერთობების ჭეშმარიტ არსს. ამიტომ კანონზომიერია, რომ ის ისეთივე დიდი ავტორიტეტითა და პატივისცემით სარგებლობდა ქართველებში, როგორც აფხაზთა შორის. საკმარისია გავიხსენოთ მისი საოცრად თბილი ურთიერთობები ქართველ კოლეგებთან, ან მისი უფროსი მეგობრისა და კოლეგის აკად. ანდრია აფაქიძის გამოსათხოვარი სიტყვა, წარმოთქმული ლიხნში მის უკანასკნელ განსასვენებელთან, მეცნიერის საიუბილეო თარიღების მასშტაბური აღნიშვნა თბილისში...

ჩვენში ხშირად გაიგონებთ: რომ არა გიორგი ძიძარიას და ზურაბ ანჩაბაძის ნაადრევი გარდაცვალება, იქნებ 90-იანი წლების ტრაგედია თავიდან აგვეცილებინაო. სამწუხაროდ, ამ უბედურებას ვერ ავცდით, მაგრამ უცვლელი ამ ქვეყნად არაფერია. გ. ძიძარიას და აფხაზი ხალხის ჭეშმარიტი პატრიოტების მოღვაწეობის ხასიათი და ანდერძად გადმოცემული მემკვიდრეობა ერთადერთ გამოსავალს გვიტოვებს: ჩვენ, აფხაზები და ქართველები განწირულები ვართ ერთად ცხოვრებისთვის. ჩატეხილი ხიდი, რა დღეს, რა ხვალ, უთუოდ აღდგება და ამ გამთელებული ხიდის ერთერთ საყრდენ ბურჯს გიორგი ძიძარია ერქმევა.

ზურაბ ხონელიძე
პროფესორი, სოხუმის უნივერსიტეტის რექტორი

Zurab Khonelidze
professor, and rector of Sokhumi State University